

## ცნობა

**„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა არაუგვიანეს 2018 წლის 4 ივლისი .

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2018 წლის 26 - ივნისამდე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. (პასუხისმგებელი პირი ნანა თავდუმაძე).